

UDC 623.93

SCOPUS CODE 2201

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-2-179-187>

## სამხედრო საინჟინრო ორგანიზაცია

**ზეზვა ნავერიანი** სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68<sup>ბ</sup>  
E-mail: znaveriani@mod.gov.ge

**ირაკლი ბუიშვილი** სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68<sup>ბ</sup>  
E-mail: ibuishvili@mod.gov.ge

### რეცენზენტები:

**მ. გუჯეჯიანი**, სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, პოლკოვნიკი  
E-mail: mgujejiani@mod.gov.ge

**დ. მაისურაძე**, სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, პოლკოვნიკი  
E-mail: maisuradzedavit1007@gmail.com

**ანოტაცია.** სამხედრო მეცნიერების, კერძოდ სამხედრო-საინჟინრო ორგანიზაციის პრიორიტეტები და მისი სტრუქტურა დღევანდელი საფრთხეებისა და გამოწვევების ფონზე უაღრესად მნიშვნელოვანია, ასევე ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განვითარების ეტაპზე. ძირითადი ყურადღება გამახვილებულია საინჟინრო სტრუქტურებისა და ქვედანაყოფების განვითარებაზე, რომელმაც უნდა უზრუნველყოს, ტოტალური თავდაცვის პრინციპებზე დაყრდნობით, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და საინჟინრო შესაძლებლობების ზრდა. სამხედრო-საინჟინრო ორგანიზაცია უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიან საინჟინრო სისტემის შექმნას.

საინჟინრო შტაბი თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის ნაწილია, რომელიც უზრუნველყოფს

საინჟინრო ოპერაციების მართვისა და კონტროლის გაუმჯობესებას, ასევე ინფრასტრუქტურული პროექტების მართვას და მის მომზადებას საინჟინრო შესაძლებლობების გაზრდის მხრივ. მოყვანილია შედარება და ბალანსი საინჟინრო ფუნქციებსა და ოპერაციების დონეების მხრივ საომარი მოქმედების ყველა ეტაპზე.

ასევე განხილულია საინჟინრო ქვედანაყოფების სტრუქტურა, რომელიც საჭიროა საინჟინრო შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად, რათა შეძლოს როგორც ტაქტიკურ, ისე ოპერატიულ და სტრატეგიულ დონეზე საინჟინრო ოპერაციების განხორციელება.

**საკვანძო სიტყვები:** ერთიანი სახელმწიფო საინჟინრო სისტემა; სამხედრო ორგანიზაცია; სამხედრო საინჟინრო-ორგანიზაცია; ტოტალური თავდაცვა.

## შესავალი

ამჟამად სამხედრო მოღვაწეებისა და მეცნიერების კვლევის საგანია ქვეყნის თავდაცვის ძალებისა და მისი ქვედანაყოფების სწორი სტრუქტურული განვითარება, რომელიც უნდა აისახოს გრძელვადიან გეგმაში და უზრუნველყოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება ქვეყანაში და რეგიონში არსებულ გამოწვევებზე ადეკვატური, სათანადო პასუხის გაცემა.

სამხედრო-საინჟინრო ორგანიზაციის, რომელიც სამხედრო ორგანიზაციის ნაწილია, განვითარება უნდა მოხდეს ეტაპობრივად, სამხედრო ორგანიზაციის განვითარების ყველა ფაზაში. იმის ფონზე, რომ მსოფლიოში სამხედრო ინდუსტრის და შესაძლებლობების განვითარება აქტიურად მიმდინარეობს, ბოლო 250 წელია საქართველო უახლესი ისტორიის განმავლობაში ჯერ რუსეთის იმპერიაში და შემდგომ საბჭოთა კავშირის შედგენილობაში ყოფნის გამო, საგრძნობლად ჩამორჩა დანარჩენი მსოფლიოს ნაწილს. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კი 30 წლის განმავლობაში სამხედრო ორგანიზაციის განვითარება კვლავ აქტუალურ საკითხად რჩება და საჭიროებს სისტემურ მიდგომას მისი ეტაპობრივი განვითარებისთვის.


## ძირითადი ნაწილი

რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური და გეოპოლიტიკური პროცესების ფონზე საქართველო რთული გამოწვევების წინაშე დგას. დღეს, როდესაც რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ ოკუპირებულია ქვეყნის ორი რეგიონი და სამხედრო ნაწილები განლაგებული ჰყავს ამ რეგიონებში, რითაც მან უზრუნველყო ქვედანაყოფების სტრატეგიული გამლა და ოპერატიული მოწყობა, ამის გამო ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა საკმაოდ რთულადაა. იმისათვის, რომ თავი გაართვას ამ გამოწვევებს, საქართველოს თავდაცვის დაგეგმარება დაფუძნებულია „ტოტალური თავდაცვის“ პრინციპზე, რომელიც გულისხმობს ქვეყნის მთელი ტერიტორიის დაცვის უზრუნველყოფას სრული ეროვნული ძალისხმევით როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო რესურსების გამოყენებით. ამჟამინდელი ძალთა სტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს ტოტალური თავდაცვის მოთხოვნების და ეროვნული თავდაცვის სტრატეგიის მიერ დასმული მისიის ეფექტურ წარმოჩენას. საჭიროა საქართველოს თავდაცვის ძალების საინჟინრო ქვედანაყოფების ძალთა სტრუქტურაში ცვლილებების შეტანა, რათა გაუმჯობესდეს საინჟინრო ძალების მართვა და კონტროლი, თანაბრად და ეფექტიანად იქნეს მხარდაჭერილი სახმელეთო ძალების აღმოსავლეთი და დასავლეთი სარდლობები.

ტოტალური სქემის ამოქმედებისათვის საჭიროა ქვეყნის ერთიანი რესურსის გამოყენება და საინჟინრო შესაძლებლობების გაზრდა, რომელიც ამოქმედდება ერთიან სახელმწიფო საინჟინრო სისტემაში. თავდაცვის ძალების საინჟინრო სტრუქტურებმა და ქვედანაყოფებმა უნდა შეძლოს უპასუხოს არსებულ გამოწვევებს და უზრუნველყოს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გამტკიცება.

ტოტალური სქემის ამოქმედებისათვის საჭიროა ქვეყნის ერთიანი რესურსის გამოყენება და საინჟინრო შესაძლებლობების გაზრდა, რომელიც ამოქმედდება ერთიან სახელმწიფო საინჟინრო სისტემაში. თავდაცვის ძალების საინჟინრო სტრუქტურებმა და ქვედანაყოფებმა უნდა შეძლოს უპასუხოს არსებულ გამოწვევებს და უზრუნველყოს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გამტკიცება.

საქართველოს თავდაცვის ძალების საინჟინრო ორგანიზაციის (შტაბები) სასურველი მოდელი



სურ. 1. საინჟინრო შტაბის სასურველი მოდელი

საინჟინრო შტაბის ფუნქცია უნდა მოიცავდეს სტრატეგიული დონის საინჟინრო ოპერაციების დაგეგმვას. შტაბის ხელმძღვანელი იქნება მთავარი ინჟინერი, რომელიც რჩევებს მისცემს თავდაცვის ძალების მეთაურს (გენერალური შტაბის უფროსი) ყველა საინჟინრო საკითხთან დაკავშირებით.

- შტაბმა კოორდინაცია უნდა გაუწიოს საინჟინრო ქვედანაყოფებს და წარმართოს საინჟინრო განვითარების პოლიტიკა;
- შტაბმა უნდა შეიმუშაოს საინჟინრო მხარდაჭერის გეგმა როგორც საბრძოლო მოქმედებების დროს, ისე საბრძოლო მოქმედებამდე და შემდგომ, რომელიც უპასუხებს ტოტალური თავდაცვის პრინციპს;
- შეიმუშაოს გეგმა ქვეყნის ტერიტორიების საინჟინრო მომზადებასთან დაკავშირებით;

- კოორდინაცია გაუწიოს უწყებათშორის თანამშრომლობას საინჟინრო რესურსების მართვაში;
- აწარმოოს ზედამხედველობა და თანამშრომლობა ინფრასტრუქტურული პროექტების მართვაში.

**საინჟინრო დავალებები ომის დონეების მიხედვით**

**სტრატეგიული დონის ოპერაციებში** საინჟინრო დავალებები ძირითადად მოიცავს:

საინჟინრო ძალების დაგეგმარებას, სამხედრო-საინჟინრო პოლიტიკას და დოქტრინებს. სტრატეგიულ დონეზე კრიტიკული ასპექტი არის სამხედრო დანიშნულების ინფრასტრუქტურის პროექტების დაგეგმვა. ინჟინერმა სტრატეგიული დონის შტაბი უნდა უზრუნველყოს შემდეგი რჩევებით:

1. რელიეფი და ინფრასტრუქტურული პროექტები;
2. საინჟინრო ძალების სტრატეგიული განლაგება;
3. საინჟინრო გავლენა გაერთიანებულ ოპერაციებზე;
4. სტრატეგიული ხელმძღვანელობა და პოლიტიკა.


**ოპერატიული დონის** საინჟინრო ოპერაციები ძირითადად ორიენტირებულია ოპერაციების დაგეგმარების პროცესში მონაწილეობაზე. ოპერატიული დონის ინჟინერი არის მთავარი მრჩეველი ოპერატიული დაჯგუფების მეთაურისთვის, რომელიც კოორდინაციას და ხელმძღვანელობს უწევს ყველა საინჟინრო კომპონენტს.

ინჟინერმა აუცილებელია რჩევა მისცეს ოპერატიული დაჯგუფების მეთაურს:


1. ოპერაციის რაიონის საინჟინრო მომზადებაში;
2. მანევრის საინჟინრო მხარდაჭერაზე;
3. საინჟინრო ოპერაციების კოორდინაციაზე საცეცხლე მხარდაჭერასა და მიზნებთან;
4. ძალთა დაცვის საინჟინრო მხარდაჭერაზე.

**ტაქტიკური დონის** საინჟინრო ოპერაციები ძირითადად ფოკუსირებულია საბრძოლო-საინჟინრო და ძალთა დაცვის საინჟინრო მხარდაჭერაზე, რომელიც მოიცავს სიცოცხლისუნარიანობის ოპერაციებს და ინფრასტრუქტურულ პროექტებს.

საინჟინრო ქვედანაყოფებმა ასევე უნდა უზრუნველყოს საბრძოლო სამხედრო მოქმედების სრული საინჟინრო მხარდაჭერა, რათა ოპერატიულმა დაჯგუფებამ შეძლოს ამოცანის წარმატებით შესრულება. ქვემოთ დიაგრამის სახით წარმოდგენილია სქემა, სადაც ასახულია საინჟინრო ფუნქციების როლი და ბალანსი საბრძოლო მოქმედების ყველა ფაზაში.



სურ. 2. საინჟინრო ფუნქციებს შორის ბალანსი ოპერაციის დონეების მიხედვით



სურ. 3. საინჟინრო ფუნქციების როლი და ბალანსი საბრძოლო მოქმედების ყველა ფაზაში

### სამხედრო-საინჟინრო ქვედანაყოფები

საინჟინრო ქვედანაყოფების ფუნქცია და მათი როლი დღევანდელი საფრთხეებისა და გამოწვევების ფონზე ერთ-ერთ მნიშვნელოვანია. თავდაცვის ძალების შემადგენლობაში საინჟინრო ქვედანაყოფების სტრუქტურული ერთეულების განვითარება სრულად უნდა პასუხობდეს საქართველოს თავდაცვის ძალების ამოცანებს და უზრუნველყოფდეს სრულ საინჟინრო მხარდაჭერას.

საინჟინრო ოპერაციები:

- უზრუნველყოფს საკუთარი ძალების მობილურობას;
- ამცირებს მოწინააღმდეგის მობილურობას;
- აძლიერებს საკუთარი ძალების დაცვას და უზრუნველყოფს მათ ხანგრძლივ ქმედითობას;
- ხელს უწყობს ფიზიკური გარემოს სწორ გაგებას.

საინჟინრო ოპერაციები უზრუნველყოფს სრულმასშტაბიანი ოპერაციების ყველა ელემენტს მნიშვნელოვანი საბრძოლო შესაძლებლობით. ტაქტიკურ დონეზე საინჟინრო მოქმედებები კონცენტრირებულია იმ საბრძოლო ელემენტების განსაზ-


ღვრული წესით განლაგებასა და მანევრზე, რომლებიც აუცილებელია ბრძოლის მიზნების მისაღწევად. ტაქტიკური ამოცანები კომპლექსურია, ამიტომ დაგეგმვის დროს გასათვალისწინებელია მოწინააღმდეგის როგორც სიმეტრიული, ისე ასიმეტრიული შესაძლებლობები.

სამხედრო-საინჟინრო ქვედანაყოფების ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა ბრძოლისათვის მომზადება და საბრძოლო მოქმედებები ომის თეატრის ყველა მონაკვეთზე როგორც ფრონტის ხაზზე, ისე ზურგში.

### საინჟინრო ბრიგადა

საინჟინრო ბრიგადის ამოცანაა როგორც ტაქტიკური, ისე ოპერატიული და სტრატეგიული დონის ამოცანების შესრულება.

ბრიგადა თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის დაქვემდებარებაშია და შეძლებს განახორციელოს ოპერაციები საქართველოს მასშტაბით, მხარი დაუჭიროს აღმოსავლეთისა და დასავლეთის სარდლობებს ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეზე, ასევე განახორციელოს სტრატეგიული ოპერაციები როგორც საბრძოლო მოქმედების დროს, ისე საბრძოლო მოქმედებამდე.




სურ. 4. საინჟინრო ბრიგადის სასურველი მოდელი

### სამანევრო ბრიგადების საინჟინრო ქვედანაყოფები

სამანევრო ქვედანაყოფებმა (ბრიგადები), რომლებიც ტაქტიკური და ოპერატიული ჯგუფებია, უნდა შეძლონ საკუთარი ძალებით განახორციელონ ტაქტიკური ოპერაციები, რისთვისაც საჭიროა მანევრისა და სხვადასხვა საბრძოლო ფუნქციის შეთანხმებული და დაბალანსებული მოქმედება. ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა საინჟინრო მხარდაჭერა.

სამანევრო ბრიგადებმა დროულად რომ შეასრულონ ამოცანა, უნდა ჰყავდეთ საკუთარი საბრძოლო მხარდაჭერი ელემენტები.

**საინჟინრო ბატალიონი.** საინჟინრო ბატალიონის სტრუქტურა და აღჭურვილობა დამოკიდებულია სამანევრო ბრიგადის სახეობაზე. ყველა სამანევრო ბრიგადას უნდა ჰყავდეს მასზე მორგებული საინჟინრო ბატალიონი.



სურ. 5. სამანევრო ბრიგადის საინჟინრო ბატალიონის სასურველი მოდელი

### დასკვნა

უნდა მოხდეს ყველა ზემოხსენებული რეკომენდაციის, საქართველოს თავდაცვის ძალების განსახორციელებელ ზომებთან დაკავშირებით, უმოკლეს დროში განხილვა, რადგან ყველა ეს საკითხი გავლენას ახდენს დავალებების შესრულების ხარისხზე და, რაც მთავარია, ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაზე. საინჟინრო ორგანიზაციის განვითარება უზრუნველყოფს ეფექტური საინჟინრო შესაძლებლობების გაზრდას, რომელიც უპასუ-

ხებს მის წინაშე დასმული ამოცანების შესრულებას:

1. გაუმჯობესდება საინჟინრო ქვედანაყოფების მართვა და კონტროლი;
2. გაიზრდება სამანევრო ქვედანაყოფების მობილურობა და სიცოცხლისუნარიანობა;
3. გაუმჯობესდება კონტრმობილურობის ხარისხი;
4. უზრუნველყოფილი იქნება, ტოტალური თავდაცვის პრინციპით, ქვეყნის საინჟინრო რესურსის მობილიზება და ეფექტური მართვა.

### ლიტერატურა

1. E. Medzmariashvili. "Novel approach to indirect of military theory". Munich. 2011. (In English).
2. "Military Encyclopedic Dictionary of Georgia". Tbilisi, 2017. (In Georgian).
3. E. Medzmariashvili „Fundamentals of Georgian Military Engineering Doctrine“ Tbilisi. 2006. (In Georgian).
4. M. Gujejiani, D. Maisuradze, I. Buishvili. "Some Priorities of Military Science in Georgia" GTU. Collection of Scientific Works, N2 (516), 2020. (In Georgian).

UDC 623.93

SCOPUS CODE 2201

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-2-179-187>

## Military Science Priorities in Georgia (Military Engineering Organization)

**Zezva Naveriani** Department of Civil and Industrial Construction, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 68<sup>b</sup> M. Kostava Street.

E-mail: [znaveriani@mod.gov.ge](mailto:znaveriani@mod.gov.ge)

**Irakli Buishvili** Department of Civil and Industrial Construction, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 68<sup>b</sup> M. Kostava Street.

E-mail: [ibuishvili@mod.gov.ge](mailto:ibuishvili@mod.gov.ge)

### Reviewers:

**M. Gujejiani**, Colonel, Doctor of Military Sciences, Faculty of Civil Engineering, GTU

E-mail: [mgujejiani@mod.gov.ge](mailto:mgujejiani@mod.gov.ge)

**D. Maisuradze**, Colonel, Doctor of Military Sciences, Faculty of Civil Engineering, GTU

E-mail: [maisuradzedavit1007@gmail.com](mailto:maisuradzedavit1007@gmail.com)

**Abstract.** The priorities of military science, particularly military engineering organization and its structure against the background of today's threats and challenges, the role of military sciences on the different stages of the development of defense capabilities of the country are crucial. The main attention is focused on the development of engineering structures and subdivisions that should ensure the growth of the country's defense capabilities and engineering potential based on the principles of total defense. The military engineering organization will be put into operation in the total defense scheme and will ensure the creation of a unified engineering system of the country.

An idea of engineering headquarter means that it will be the part of the General Staff of the Defense Forces and ensures the improvement of management and control of engineering operations, as well as management and preparation of infrastructural projects to increase engineering capabilities. There is given comparison and balance concerning engineering functions and levels of operations in every stage of warfare.

The structures of engineering subdivisions that should be put into operation to improve engineering capabilities to perform engineering operations on strategic, operational and tactical levels are also discussed.

**Key words:** military organization; military engineering organization; total defense; united state engineering system.



UDC 623.93

SCOPUS CODE 2201

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-2-179-187>

### Военно-инженерная организация

- Зезва Навериани**      Департамент гражданского и промышленного строительства, Грузинский технический университет, Грузия, 0160, Тбилиси, улица М. Костава, 68<sup>6</sup>  
E-mail: znaveriani@mod.gov.ge
- Иракли Буишвили**      Департамент гражданского и промышленного строительства, Грузинский технический университет, Грузия, 0160, Тбилиси, улица М. Костава 68<sup>6</sup>  
E-mail: ibuishvili@mod.gov.ge

### Рецензенты:

- М. Гуджеджани**, Полковник, доктор военных наук строительного факультета ГТУ  
E-mail: mgujejiani@mod.gov.ge
- Д. Маисурадзе**, Полковник, доктор военных наук строительного факультета ГТУ  
E-mail: maisuradzedavit1007@gmail.com

**Аннотация.** Очень важны приоритеты организации военного дела, в частности, военно-инженерной организации, ее структура в свете современных угроз и вызовов, а также этапы развития обороноспособности страны. Основное внимание уделяется развитию инженерных структур и подразделений, которые должны обеспечивать повышение обороноспособности и инженерных возможностей страны на принципах тотальной защиты. Военно-инженерная организация будет введена в общую схему обороны и обеспечит создание единой инженерной системы страны.

Идея инженерного штаба, которая будет частью Генерального штаба Сил обороны и обеспечит улучшенное управление и контроль инженерных операций, а также управление инфраструктурными проектами и их подготовку с целью увеличения инженерных возможностей. Сравниваются и уравниваются инженерные функции и уровни операций на всех этапах боевых действий.

Также обсуждаются структуры инженерных частей, которые необходимо внедрить для улучшения инженерных возможностей, чтобы иметь возможность выполнять инженерные операции как на тактическом, так и на оперативном и стратегическом уровнях.

**Ключевые слова:** военная организация; военно-инженерная организация; единая государственная инженерная система; тотальная оборона.

*კანხილვის თარიღი 08.02.2020*

*შემოსვლის თარიღი 24.02.2020*

*ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.07.2021*